ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 თებერვლის სხდომის

ოქმი N 3

დაბა ხარაგაული 2019 წლის 04 თებერვალი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ნონა ზურაბიანი, , დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე -სათათბირო ხმის უფლებით (იმყოფება შვებულებაში) გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ზურაბ იჩქიტიძე - - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსი

ნანა კიკნაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

ჯაბა ბერაძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის იურისტი.

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე-29

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შეფასების შესახებ

მომხს: ზურაბ იჩქიტიძე

2. იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის (ს/კ - 36.07.32.013) პირველ სართულზე მდებარე 63.84კვმ. ფართის „მზაობის ჯგუფის“ ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით 3 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

სხვადასხვა:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ცენტრის დირექტორის შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაცია გავრცელებული ვირუსული ინფექციების შესახებ.

ბ) ფრაქციების „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის თორნიკე ავალიშვილისა და „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარის ინგა მაღრაძის განცხადების განხილვის შესახებ

მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის ზურაბ იჩქიტიძის ანგარიში საკითხზე -.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს 2018 წელს ტენდერი დაიწყო 16 იანვარს და როდის დასრულდა?

ზ. იჩქიტიძემ უპასუხა დაიწყო 16 იანვარს და მოვიგეთ 18 მაისს.

დ. კიკნაძემ დასვა შეკითხვა ზარან - საღანძილის ხიდ- ბოგირზე 2-3 - ჯერ რომ გამოაცხადეთ ტენდერი და ჩავარდა შეცვალეთ პრობები?

ზ. იჩქიტიძემ უპასუხა, რომ თავდაპირველად 5000 -დან დავიწყეთ და არ ეყო თანხა და 7-8 ათასზე ავედით, ერთდროულად 3000 ლარით თანხას ვერ გავზრდიდით. ერთპირთან მოლაპარაკებაზე არ გავიტანეთ, რადგან იქ სხვა რეგულაციები მოქმედებდა.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება აზრს რატომ მოხდა ტენდერის რამოდენიმეჯერ გამოცხადება

ზ. იჩქიტიძემ უპასუხა, რომ თავდაპირველად ტენდერის თანხა იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებაზე.

ი. მაღრაძემ დასვა შეკითხვა არის თუ არა პრობლემა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში?

ზ. იჩქიტიძემ აღნიშნა, რომ სატენდერო კომისიის დოკუმენტაციაში ჩადეს ბევრი კვლევები გეოლოგიური, გეოდეზიური და სხვა კვლევები, რამაც გაზარდა სატენდერო ღირებულება, შესყიდვების კანონის პრობლემებიც არის, მაგალითად ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მიატოვა სამუშაო და შეუწყვიტეთ ხელშეკრულება გადავაგზავნეთ შავ სიაში, მაგრამ იგივე კომპანიამ მოიგო სხვა ტენდერი. კანონში არ არის ისეთი ჩანაწერი, რომ შევზღუდოთ.

მ.ფხალაძე აღნიშნა, რომ მითხარით რომელი კანონი გვიკრძალავს ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოვახდინოთ ერთპითან მოლაპარაკება. მაშინ როდესაც ზედიზედ 8 ჯერ მომხდარა ერთიდაიგივე ტენდერის ჩავარდნა. პრობლემები იკვეთება შესასრულებელი სამუშაოების გადავადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ხშირ შემთხვევებში უამინდობის გამო გადავადება ხდებოდა არაკომპეტენტირი ორგანოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე არამედ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა შუამდგომლობით. ასევე ხარვეზები ფიქსირდება აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან სათანადო კონტროლის განუხორციელებლობასთან დაკავშირებით, როგორც სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების ისე ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობისას.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა რომ მინიმუმ ვხვდები, რომ იყო უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომ 5 თვე ვერ მოხერხდა პროექტების შესყიდვა.ვფიქრობ,რომ იკვეთება საბოტაჟის მცდელობის ნიშნები.

ზ. იჩქიტიძემ უპასუხა, როდესაც ჩავარდა ტენდერი ჩვენ გვქონდა მსჯელობა მიმწოდებელთან, მაგრამ ისინი არ მოდიან ამაზე, რადგან ამბობენ, რომ ხარჯთაღრიცხვას ვერ წარმოგვიდგენენ, ტენდერი, როდესაც ცხადდება წინასწარ ვერავინ ვერ იტყვის შედგება თუ არა, ამიტომ ჯობია ერთგვაროვან სამუშაოებზე პროექტირების მომსახურების შესყიდვა.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, 2018 წლის განმავლობაში შესყიდვების შედეგები, ზოგ შემთხვევაში, კატასტროფულია,2018 წლის 9 მარტს დადებული ხელშეკრულებით, მომწოდებელს ბაზალეთში

შერგელაშვილებისა და ქვედა ნანიტაშვილების საუბნო გზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 23 აპრილს უნდა ჩაებარებინა. ჩაგვაბარა 2019 წლის იანვარში.ზედა ნანიტაშვილების გზის მშენებელი კომპანია გამოვლენილია. გაფორმებულია ხელშეკრულება, მაგრამ კომპანია სამ თვეზე მეტია არ გამოჩენილა. ასეთივე მდგომარეობაა თეთრაწყაროში, ნუნისში, ვარძიაში.

რატომ არ გამოიყენა მერმა დისკრეციული უფლებამოსილება და რატომ არ წყვეტს ხელშეკრულებებს უპასუხისმგებლო მომწოდებლებთან, გაუგებარია.ხშირია ხელშეკრულებების გადავადება .სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციის მიხედვით, ნალექი არ არის ხელშეკრულების გადავადების მიზეზი, რადგან არ ქმნის ფორსმაჟორულ სიტუაციას. პროექტების შესრულების გადავადებამ 2018 წელს სისტემატური ხასიათი მიიღო.სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის, მერიის სამსახურების უმოქმედობით, ტენდერების გამოცხადება დაგვიანდა და ამის გამო შესყიდვების სააგენტომ უარი გვითხრა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულებების დადებაზე.ხშირად იცვლება უკვე მომზადებული დოკუმენტაცია, რადგან ის არასრულყოფილია. აქედან გამომდინარე 2018 წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული შესყიდვების შედეგებს უარყოფითად ვაფასებ. ანგარიში განხილულ იქნა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაზე, ჩვენი ერთსულოვანი სურვილი იყო, რომ საკრებულოს სხდომას დასწრებოდა მერი და მერის პირველი მოადგილე, რადგან მათგან გვინდოდა მოგვესმინა პასუხები არ შემდგარ ტენდერებზე, ხელშეკრულებაში ხშირ ცვლილებებზე, ერთპირთან მოლაპარაკებებზე და აგრეთვე იმაზე თუ რა რეგულაციები უშლიდა ხელს მუშაობაში. ხელშეკრულების უმრავლესობა არის ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული, მერიამ ვერ დააზუსტა რეგულაციები, რაც გაუადვილებდა მუშაობას, მან ასევე საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა ცალკეული დოკუმენტაცია, რომელიც სამსახურის მიერ არასწორად წარმოებული პროცედურების გამო შესაბამისი ზემდგომი სტრუქტურების მიერ შენიშვნებისა და ხარვეზის სახით იყო გაცემული ჩვენ ზურასთან არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მადლობა საკითხის წარმომდგენს გაწეული მუშაობისათვის მაგრამ შედეგი არ აის სახარბიელო, მდგომარეობა არის კატასტროფული.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ შეუსრულებელი სამუშაოების გამო ნადაბურში, ხუნევში, ხევში სამუშაოს მწარმოებლები რატო არ არიან გადაცემული შავ სიაში. მე ზურას საქმიანობას აღნიშნა მომხსენებლის მისამართით უარყოფითად ვერ შევაფასებ, რადგან ვიცნობ მაის პასუხისმგებლობას და პროფესიონალიზმს, მაგრამ სატენდერო კომისიის საქმიანობა კი უარყოფითად შესაფასებელია

ზ. იჩქიტიძემ უპასუხა, რომ შავ სიაში მეწარმე უნდა მოხდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება არ იყო შეწყვეტილი.

მ. ფხალაძემ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აქ ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ბაზარი არ არის შესწავლილი სრულად , შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს მაგრამ განცდა რომ აღარ განმეორდება არ ჩანს საკითხი გავნიხილეთ კომისიის სხდომაზე მეც ვაფასებ უარყოფითად.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ დღეს ვიხილავთ შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშს, გეგმა შესრულდა თუ არა მე პირადად ვერ შევაფასებ უარყოფითად ვაფასებ დადებითად მაგრამ გთავაზობთ შეიქმნას კომისია, რომელიც კომპეტენტურად შეისწავლის შესყიდვების საკითხს.

გ. თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ აფასებს უარყოფითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი 2018 წლის შესყიდვების გეგმის შესასრულებლად გაწეული საქმიანობის უარყოფითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე 23

წინააღმდეგი 3

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - იმერეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ, რომელმაც მხარი დაუჭირა მსგავსი ორგანიზაციის დაფუძნებას, რადგან ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

ო. ლურსმანაშვილმა იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი შეფასება

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე -.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ეთერ კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის (ს/კ - 36.07.32.013) პირველ სართულზე მდებარე 63.84კვმ. ფართის „მზაობის ჯგუფის" ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით 3 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს თანხმობის გარეშე სკოლის შენობაში ბაღის შეშვება არის სამსახურის ხარვეზი ეს ხარვეზი დაემატება სხვა ხარვეზს რაც სამსახურს აქვს ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი მზაობის ჯგუფის ფუნქციონირების, მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს კანონის ფარგლებში. კარგია რომ სოფელში ბაღია ხალხი უნდა შევინარჩუნოთ.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ რა კანონი დაირღვა იმით, რომ მერიამ სკოლაში შეუშვა ბაღი

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე -.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

გ.თხელიძემ- საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილ ცვლილებებს დავეთანხმეთ.

თ. ფცქიალაძემ აღნიშნა, რომ ერთჯერადი დახმარებისათვის შედარებით კარგი ფორმა მონახულიყო, მაგალითად მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ერთ კაცზე 100 ლარი არაფერი არ არის მე მირჩევნია ჩემი ჯიბიდან ამოვიღო ფული და მივცე.

ი.მაღრაძემ დასვა შეკითხვა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის კ. ლურსმანაშვილის ანგარიშში აღინიშნა, რომ 2015 წელს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების ხარჯზე კიცხში დღის ცენრტისათვის ფართი გავარემონტეთ, მაინტრესებს რა მდგომარეობაა დრეს.

კ. კიკნაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ 2 ბენეფიციარია, მის სამოქმედო არიალზე ბენეფიციარი არ ფიქსირდება არის პრობლემები, რადგან ხარჯებს ვერ ისტუმრებს.

დ. კიკნაძემ დასვა საკითხი, რომ ერთჯერადი დახმარება მუნიმუმ 4-5 -ჯერ უნდა გაიზარდოს

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი

და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

დღის წესრიგის სხვადასხვა საკითხებში მოისმინეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ცენტრის დირექტორის შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაცია გავრცელებული ვირუსული ინფექციების შესახებ. რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება მომარაგებულია ყველა საჭირო მედიკამენტით, რომლებსაც ვაწვდით მოსახლეობას საჭიროების მიხედვით ახლა მიმდინარეობს აცრები წითელაზე, ჩვენდა საბედნიეროდ გრიპის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურების შემთხვევები არ გვაქვს.

თ. ავალიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ოპოზიციური ფრაქციების ერთობლივი განცხადება (განცხადება ტან ერთვის) აუდიტის მოწვევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 6 დეპუტატის ხელმოწერა განცხადებაზე გვაქვს საჭიროა კიდევ 6 - ის ხელმოწერა და მოუწოდა საკრებულოს წევრებს უმრავლესობიდან შეერთებოდნენ მათ მოთხოვნას, უმრავლესობის ფრაქციის ლიდერმა პ. გოგოლაძემ უპასუხა, რომ საკითხი განიხილებოდა უმრავლესობის სხდომაზე და გადაწყვეტილების შესახებ მიაწვდიდნენ ინფორმაციას.

ამით საკრებულოს განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე